THE PARTICIPATION AND ROLE OF SECULAR AUTHORITIES IN THE FORMATION OF ECCLESIASTICAL ADMINISTRATIVE UNITS (BISHOPRICS) AND IN THE ESTABLISHMENT OF ECCLESIASTICAL HIERARCHIES

(The Catholicate of Abkhazia, 15th–18th Centuries)"

საერო ხელისფალთა მონაწილეობა და როლი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულების (საეპისკოპოსოების) დაარსებასა და საეკლესიო იერარქიების დადგენის პროცესში

(აფხაზეთის საკათალიკოსო XV-XVIII სს.)[1]

TEA KARTVELISHVILI
PhD in History,
K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Department of Diplomatics and Source Studies
Main scientific employee
Georgia, Tbilisi, Z Aleksidze #2.
teakartvelishvili@manuscript.ge +995593370429
ORCID iD: 0009-0002-2350-3535

Abstract. The disintegration of the unified Georgian feudal monarchy and the formation of independent kingdoms and principalities in Western Georgia brought significant changes to the life of the Church. The Exarchate of Abkhazia, located in Western Georgia, separated from the Exarchate of Mtskheta in Eastern Georgia, which was not a purely religious-canonical internal ecclesiastical process; it was a direct result of the political separatism of the secular authorities in Western Georgia.

In the region dissolved into the Kingdom of Imereti, and the principalities of Guria and Odishi, the Exarchate of Abkhazia was the only institution that united them. Therefore, the kings and princes sought to gain political hegemony by attempting to exert influence over the Abkhazian Catholicos..

To strengthen their political positions, kings and princes established new episcopates and appointed selected candidates as their leaders. In the 15th to 18th centuries, ecclesiastical structures in Western Georgia were extremely politicized.

Keywords: Western Georgia, the Catholicosate of Abkhazia, The establishment of bishopric, The appointment of ecclesiastical hierarchs, The relationship between secular and ecclesiastical authority.

---

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის (FR 22-1720) „სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობის საკითხები შუა საუკუნეების საქართველოში (IV-XVIII სს.)“ ფარგლებში.

თეა ქართველიშვილი

ისტორიის დოქტორი, კ.კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცნეტრი,
წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილება
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
საქართველო, თბილისი, ზ. ალექსიძის #2.
teakartvelishvili@manuscript.ge +995593370429
ORCID iD: 0009-0002-2350-3535

აბსტრაქტი. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლამ და დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ეკლესიის ცხოვრებაში. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აფხაზთა საკათალიკოსო გაემიჯნა აღმოსავლეთ საქართველოს ანუ მცხეთის საკათალიკოსოს, რაც არ ყოფილა წმინდა რელიგიურ-კანონიკური ხასიათის შიდაეკლესიური პროცესი; იგი წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს საერო ხელისუფალთა პოლიტიკური სეპარატიზმის პირდაპირ შედეგს.

იმერეთის სამეფოდ, გურიისა და ოდიშის სამთავროებად დაშლილ რეგიონში აფხაზთა საკათალიკოსო იყო ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც მათ აერთიანებდა, ამიტომ მეფე-მთავრები პოლიტიკური ჰეგემონობის მოსაპოვებლად ცდილობდნენ გავლენა მოეპოვებინათ აფხაზთა კათალიკოსზე.

მეფეები და მთავრები პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად აარსებდნენ ახალ საეპისკოპოსებს და შერჩეულ კანდიდატებს სვამდნენ მათ მმართველებად.

XV-XVIII სს. დასავლეთ საქართველოში საეკლესიო სტრუქტურები უკიდურესად პოლიტიზირებული გახდა.

საკვანძო სიტყვები: დასავლეთ საქართველო, აფხაზთა საკათალიკოსო, საეპისკოპოსოების დაარსება, საეკლესიო იერარქების დადგენა, საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობა.

შესავალი. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში ქვეყნის ტერიტორიაზე ორი საკათალიკოსო არსებობდა: მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს). მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი იერარქიულად აღმატებული იყო აფხაზთა კათალიკოსზე.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ცენტრალური სამეფო ხელისუფლება დასუსტდა, დასავლეთ საქართველო გამოეყო ერთიან სამეფოს. 1463 წელს ჩიხორთან გამართულ ბრძოლაში გამარჯვებულმა იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა მეფის ტიტული მიიღო.

ახლად აღზევებული საერო ხელისუფლების პოზიციები თავდაპირველად ძალზე მყიფე იყო. ბაგრატისა და მისი მომხრე ერისთავების სეპარატისტული მისწრაფებების ალაგმვა ყველაზე ეფექტურად ქვეყნის სულიერ ლიდერს – მცხეთის კათალიკოს-პატრიარქს შეეძლო, რომელიც ერთიანი სახელმწიფოს იდეას იცავდა. შესაბამისად, ახალ ხელისუფალთ სჭირდებოდათ მყარი იდეოლოგიური დასაყრდენი ეკლესიის სახით, რამაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საყდრისგან იურიდიული და ადმინისტრაციული გამიჯვნა

გამოიწვია. მათ გამოიყენეს ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის დასავლეთ საქართველოში ვიზიტი და მცხეთის პატრიარქისგან დამოუკიდებლად, აფხაზთა კათალიკოსად აკურთხებინეს ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე.

დასავლეთ საქართველომ პოლიტიკური ერთობა ვერ შეინარჩუნა და დაიყო: იმერეთის სამეფოდ, გურიისა და ოდიშის სამთავროებად. პოლიტიკური სეპარატიზმი აისახა საეკლესიო ცხოვრებაზეც. დასავლეთ საქართველოში დაარსდა ახალი ეპარქიები, რომელსაც პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად.

მეთოდები. წინამდებარე კვლევა ეფუძნება ისტორიზმის, ობიექტურობისა და კომპლექსურობის პრინციპებს, სადაც გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ისტორიულ-სისტემური და სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდები. საკვლევი ეპოქის პოლიტიკური და საეკლესიო ვითარების მაქსიმალურად ზუსტი რეკონსტრუქციისათვის, კვლევის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ნარატიული და დოკუმენტური წყაროების ტექსტუალური კრიტიკა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

კვლევა დაფუძნებულია ინდუქციურ მეთოდზე, რაც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ცალკეული ფაქტის დაკვირვების შედეგად დავინახოთ ზოგადი პროცესი.

შედეგები. სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ დასავლეთ საქართველოში, ერთადერთი გამაერთიანებელი ძალა აფხაზთა საკათალიკოსო იყო. ამიტომ ყველა პოლიტიკური ლიდერი, მეფე იქნებოდა თუ მთავარი, რომელსაც მთელ დასავლეთ საქართველოზე ჰეგემონობის დამყარება სურდა, ცდილობდა ეკლესიის მეთაური თავისი ერთგული ფეოდალური საგვარეულოდან დაედგინა. კათალიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის ისტორია ზუსტად ასახავს, თუ რომელი პოლიტიკური ძალა ფლობდა რეალურ უპირატესობას რეგიონში.

ქვეყნის პოლიტიკურ დაქუცმაცებას ფეხდაფეხ მიჰყვა ახალი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულების დაარსება, რადგან ერთიანობის ხანის ეპარქიები უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენდა.

იმერეთის მეფეც, ოდიშსა და გურიის მთავრებიც საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებს უქვემდებარებდნენ ახალი საეპისკოპოსოების დაარსებას, ამასთან მაღალ საეკლესიო თანამდებობზე, აუცილებლად, ერთგული ფეოდალური საგვარეულოების წარმოამდგენლებს ნიშნავდნენ.

მსჯელობა

საერო პირების როლი აფხაზთა კათოლიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის საქმეში

გვიან შუა საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოში საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობა სრულიად გასცდა კანონიკურ ჩარჩოებს და დაექვემდებარა ფეოდალურ-პოლიტიკურ კონიუნქტურას. მოექცა სამეფო-სამთავროებს შორის არსებული ანტაგონიზმის ეპიცენტრში. დასავლეთ საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად, ძირითადად, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ იმერეთის სამეფო და ოდიშის სამთავრო, შესაბამისად კათალიკოსის არჩევის უპირატესობაც ამ ორ ძალას შორის მერყეობდა.

აღმოსავლეთ საქართველოს საპატრიარქოსგან გამიჯვნისას, აფხაზეთის კათალიკოსად დააყენეს ცაიშელ-ბედიელი იოვაკიმე, რაც შამადავლე დადიანის გამარჯვებას ნიშნავდა. მას ოდიშის გარდა ემორჩილებოდა გურიისა და სვანეთის საერისთავოები (არახამია, 2002:109). საფიქრებელია, რომ იოვაკიმეს კანდიდატურა იმერეთის მეფე ბაგრატ II-ის ინტერესებშიც

შედიოდა, ვინაიდან იმერეთში ერთადერთი მღვდელმთავარი ქუთათელი ეპისკოპოსი იყო. მისი კათოლიკოსის პატივში ამაღლება კი ქუთათელის განუსაზღვრელ ძალაუფლებას განაპირობებდა, რაც იმერეთის მეფისთვის მიუღებელი იყო.

იოვაკიმეს მომდევნო პატრიარქი ბართლომე, ასევე დადიანის კანდიდატი იყო (ჯოჯუა, 2002:117-132), რადგან ხობის მონასტერში ჰქონდა რეზიდენცია და აშკარაა, ოდიშის ერისთავი წარმატებულად ახერხებდა არამხოლოდ სასურველი კანდიდატის აყვანას ტახტზე, არამედ ცდილობდა საკათალიკოსო რეზიდენციაც საკუთარ საძვალეში (ხობში) დაეფუძნებინა.

1510 წლიდან იმერეთის სამეფოს მართავდა ბაგრატ III, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა დასავლეთ საქართველოს ერთიანობა და მორჩილებაში ჰყოლოდა გამთავრების გზაზე დამდგარი დადიანი და გურიელი. ცენტრალიზებული პოლიტიკის გატარებაში, ცხადია, მას ძალიან სჭირდებოდა ეკლესიის მხარდაჭერა. მეფე ბაგრატის სახელს უკავშირდება სხვადასხვა საეკლესიო ღონისძიება: იმერეთის საეკლესიო ადმინისტრაციული მოწყობა, სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაზე გავლენის დამყარება, ფავორიტი ფეოდალური საგვარეულოების დაწინაურება მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე (ძირითადად, ჩხეტიძეები და საყვარელიძეები) (ლომინაძე, 1966:206-207). ასევე, ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენციის გელათში გადატანა. ცხადია, ცენტრალიზების მომხრე მეფისთვის მიუღებელი იყო დადიანის მცდელობა ხობში საკათალიკოსო ცენტრი გადაენაცვლებინა, ან თუნდაც ბიჭვინთაში დაეტოვებინა. მან, წინასწარ ჩაატარა გელათის მონასტერში სააღმშენებლო სამუშაოები, მატერიალურად უზრუნველყო, ხოლო შემდეგ აქცია საკათალიკოსო ცენტრად. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატის მმართველობისას კათალიკოსად იმერეთის წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი მალაქია აბაშიძე გვხვდება, შემდეგ ევდემონ ჩხეტიძე, ხოლო 1578 წლიდან – ექვთიმე საყვარელიძე. ცხადია, მათი კანდიდატურა იმერეთის მეფის შერჩეული იყო და მეფე ბაგრატის საეკლესიო პოლიტიკას მიყვებოდნენ.

ვითარება შეიცვალა ლევან II დადიანის (1611-1657) მმართველობისას. მან მნიშვნელოვნად დაასუსტა იმერეთის სამეფო, ხოლო გურიის სამთავროზე თავისი გავლენა დაამყარა. აფხაზთა კათალიკოსი მალაქია გურიელის ძეც, უმთავრესად მის კარზე იმყოფებოდა. საკათალიკოსო ტახტზე აღსაყდრებამდე მალაქია განაგებდა ცაიშისა და ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრებს. მოგვიანებით კი მიიღო ხონის კათედრაც. პ. ზაქარიას აზრით, ხონის ეპარქია გაკათალიკოსების შემდეგ უნდა დაეკავებინა (ზაქარაია, 1956:11). მალაქიას მიერ იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი ეპარქიის მართვა, ლევან დადიანის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

არქანჯელო ლამბერტი მალაქიას „ოდიშის პატრიარქს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „როცა დადიანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ოდიშის პატრიარქის არჩევის უფლებაც მიითვისა“ (ლამბერტი, 1938:118). იგი კვლავ ადასტურებს, სხვა ადგილას, რომ ოდიშის პატრიარქს სამეგრელოს მთავარი ირჩევდა: „ოდიშის პატრიარქს თავის საბრძანებელში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამც თუ ეთანასწორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს, არამედ აღემატება კიდეც“ (ლამბერტი, 1938:119).

იმერეთის სამეფოსა და ოდიშის დაპირისპირების ფონზე, საინტერესოა, რა დამოკიდებულება ჰქონდა იმერეთის სამეფო კარს მალაქია კათალიკოსთან. ამის შესახებ კონკრეტული წყაროები არ მოგვეპოვება, თუმცა საინტერესოა, რუსი ელჩების თეოდორ ვოლკონსკისა და არტემ ხვატოვის ცნობა, რომლის თანახმადაც 1639 წელს, იმერეთის ახალი მეფე ალექსანდრე III აკურთხეს კახეთიდან ჩასულმა ზებედე ალავერდელმა და ზაქარია სამებელმა (Полиевктов, 1937:333-334, 380). წესით, მეფის კურთხევა კათალიკოსის პრეროგატივა იყო, თუმცა, მოცემულ პერიოდში, იმდენად გამწვავებული იყო ურთიერთობა

იმერეთის მეფესა და დადიანს შორის, რომ დადიანის მომხრე აფხაზთა კათალიკოსი მალაქია კორონაციის რიტუალშიც კი არ მონაწილეობდა.

მალაქიას მომდევნო პატრიარქი მაქსიმე მაჭუტაძეც ლევანის კანდიდატად უნდა მივიჩნიოთ და დადიანის პოლიტიკური ფრთის წარმომადგენლად. მაქსიმე კათალიკოსად გახდომამდეც იყო დაახლოებული მასთან. იგი იმყოფებოდა ლევანის დის – მარიამ დედოფლის საქორწინო ამალაში. მარიამ დედოფალი დაქორწინდა ქართლის მეფე როსტომზე, რითიც გაფორმდა ლევანისა და როსტომის ალიანსი, იმერეთის მეფისა და თეიმურაზ I-ის საპირისპიროდ. მაქსიმე მაჭუტაძე გორში ყოფნისას შეხვდა პრეფექტს პიეტრო ავიტაბილეს. მისი ნებართვით, კათოლიკე მისიონერები: კრისტოფორო კასტელი, ანტონიო ჯარდინა და ბერი კლაუდიო ჩაიყვანა გურიაში, რომელთაც დააფუძნეს თეატინელთა მისონი (თამარაშვილი, 1902:105). მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკე ბერებთან. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მაქსიმე კათალიკოსისა და კრისტოფორო კასტელის დიალოგი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კასტელი ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ურთიერთობის ფორმას: „ამ ქვეყნის მთავრები მმართველობენ, როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო სფეროში და ეპისკოპოსებსა და პატრიარქებს მართვის უფლებას არ აძლევენ, თუ ეს მათ არ მოსწონთ და, თუ მთავარს რამეს ვეტყვი, ის მიპასუხებს: ამის შესახებ მე ვიფიქრებ. ასეთია ამ ქვეყნის წეს-ჩვეულება“ (ლიჩინი, 2009:96-97). როგორც ჩანს, საერო ხელისუფლების ასეთი მძლავრი ზეგავლენა არც მაქსიმე კათალიკოსისთვის იყო მისაღები. კასტელთან საუბრისას მას განუცხადებია: „მე ამ ქვეყნის პატრიარქი ვარ და არცა ვარ, რადგან მთავარი არ მაძლევს უფლებას, მის გარეშე რამე გავაკეთო“ (ლიჩინი, 2009:96). ამ საკითხის შესახებ, კასტელს შუამდგომლობას სთხოვდა მთავართან და ძალაუფლების დაბრუნებას ცდილობდა (პაპაშვილი, 2023:47).

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ კათალიკოს-პატრიარქის დადგენაში უპირატესობა კვლავ იმერეთის მეფეებმა მოიპოვეს. აღდგა იმერეთის მეფეების ტრადიცია ჩხეტიძეებისა და საყვარელიძეების საგვარეულოს დაწინაურებასთან დაკავშირებით. 1660-1666 წწ. აფხაზთა კათალიოსი იყო სიმონ ჩხეტიძე, 1666-1669 წწ. – ევდემონ II საყვარელიძე, ხოლო 1669-1673 წწ. – ექვთიმე II საყვარელიძე.

კათალიკოსად დადგენის მხოლოდ ერთი ოფიციალური დოკუმენტი შემოგვრჩა. ეს გახლავთ 1673 წლის ლევან III დადიანის საბუთი ბოძებული დავით ნემსაძისადმი. კათალიკოსად დადგინების თხოვნით დავით ნემსაძეს ოდიშის მთავრისთვის მიუმართავს და არა იმერეთის მეფისთვის. მართალია, ლევანი აღნიშნავს, რომ დავითის კანდიდატურა განიხილეს და მის ერთგულებაში დარწმუნდნენ, თუმცა იმერეთის მეფის ნებართვის გარეშე, მაინც არ დაადგინა მწყემსმთავარად: „თავდადებით ჩვენი ნამსახური და ნაერდგულევი იყავით ჩუენზედ. ბატონის მეფის ნება დართულობითა ავიღეთ და კათოლიკოზობა მოგართვით, გვიბოძებია და გიბედნიეროს ღთმან ჩუენსა ერთგულობაში“ (კაკაბაძე, 1921:75).

დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობის დროს, როდესაც არც იმერეთის მეფე და არც დადიანი არ თმობდნენ პირველობას, ორკათალიკოსობის პრეცედენტიც კი დაიშვა. 1742 წელს საკათალიკოსო ტახტი დაიკავა ბესარიონ ერისთავმა. იგი რაჭის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. ბესარიონი დაუპირისპირდა იმერეთის მეფე სოლომონ I-ს და მის წინააღმდეგ დადიანსა და ერისთავს შეეკრა. 1768 წელს მოკავშირეებმა იგი ახალციხის ფაშასთან გაგზავნეს დახმარების მისაღებად, თუმცა ფაშამ იგი დააპატიმრა. ბესარიონმა ბუხრის კედელი გაანგრია და პატიმრობიდან თავი დაიხსნა. იგი ოდიშში ჩავიდა, სადაც კაცია დადიანმა კათალიკოსად დაადგინა, თუმცა 1769 წლიდან უკვე იყო პატრიარქად

აღსაყდრებული იოსებ ბაგრატიონი (ბატონიშვილი), სოლომონ მეფის ძმა. ორკათალიკოსობა 1773 წლის 15 დეკემბერს დასრულდა, როცა ბესარიონი გარდაიცვალა.

1776 აღსაყდრებული მაქსიმე II აბაშიძეც იმერეთის მეფის კანდიდატი იყო. იგი ქუთათელი მიტროპოლიტი გახლდათ. მაქსიმე 1795 წელს გარდაიცვალა კიევში, სადაც დაკრძალეს კიდეც. მისი მომდევნო იერარქი დოსითეოს წერეთელი, რომელიც ქუთათელი მიტროპოლიტი გახლდათ სოლომონ II დაადგინა კათალიკოსად, მაგრამ მისი კურთხევა არ მომხდარა. ამიტომ აფხაზეთის ბოლო კათალიკოსად მაქსიმე ითვლება.

საეკლესიო ადმინისტრირების პოლიტიკა აფხაზეთის საკათალიკოსოში

ერთიანი საქართველოს დაშლისას, XV ს.-ის II ნახევარში, იმერეთის მეფემ საკუთარი პოლიტიკური პოზიციები სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერით განიმტკიცა. მეფედ აღზევებული იმერეთის ერისთავის მსგავსად სეპარატისტული მიზნები ამოძრავებდათ ლიხთიმერეთის დანარჩენ ერისთავებს. დადიანი და გურიელი დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდნენ და სასულიერო პირთა მხარდაჭერა მათაც არანაკლებ ესაჭიროებოდათ. ოდიშის საერისთავოში ეპარქიები ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებიდან არსებობდა, თუმცა გურია ეკლესიურად ქუთათელს ექვემდებარებოდა. ალბათ, აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე ლოგიკურიც იყო, რომ გურიელებს თავიანთ სამთავროში ახალი საეპისკოპოსოები დაეარსებინათ. მართლაც, გურიის სამთავროში სამივე საეპისკოპოსო: შემოქმედის, ჯუმათის და ხინოწმინდის მათ მიერ იყო დაფუძნებული. სავსებით მართებულად შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო გურიელთაგან დაიდგინეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი თვისისა დიდებისათვის“ (ვახუშტი, 1973:791).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი საეპისკოპოსოების დაარსების დიდი ტალღა იყო XVI საუკუნეში, რომელიც ასევე პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული და იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება (ქართველიშვილი, 2020:83-91). წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწევრებულ ქვეყანაში ანომალია იყო ერთიანობის პერიოდის მსხვილი საეკლესიო ეპარქიების არსებობა. საეკლესიო ადმინისტრირებას, სახელმწიფოსგან განსხვავებით, არსებითად სხვა საფუძვლები ჰქონდა – ეკლესია, თითქმის ყოველთვის, ცენტრალური ხელისუფლების პოზიციებზე იდგა ეს იქნებოდა მეფე თუ მთავარი. ეკლესია შეუვალობის მიღებით, განსხვავებით სათავადოსგან, პოლიტიკურ იერარქს არ ემიჯნებოდა და ხელისუფლებისთვის საშიშ ადმინისტრაციულ ერთეულს არ ქმნიდა. პირიქით, ახალი ეპარქიების დაარსებით მეფე ბაგრატი იმრავლებდა ერთგულთა რიგებს და საიმედო დასაყრდენს იმტკიცებდა.

ქუთათელის სამწყსო მთლიანად მოიცავდა იმერეთის სამეფოს. ფაქტობრივად, იგი ბაგრატის თანაფარდი ძალაუფლების მქონე საეკლესიო იერარქი გამოდიოდა (გაბისონია, 2016:32-33). ცხადია, მეფე არ დაუშვებდა გვერდით ჰყოლოდა ამხელა უფლებების მქონე სასულიერო პირი. ბაგრატის ინიციატივით ქუთათელის ეპარქია გაიყო რამდენიმე ნაწილად: 1. საკუთრივ ქუთაისის, 2. გელათის, 3. ხონის, 4. ნიკორწმინდის (თუკი დავუშვებთ, რომ რაჭაც ქუთათელის იურისდიქციაში შედიოდა). *ახალი ქართლის ცხოვრების* მესამე ტექსტის თანახმად, 1529 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა ქუთათელი გერასიმე და მის ნაცვლად დაადგინეს მისი ძმისწული სვიმონი. იგი ბიჭვინთაში წავიდა და ეკურთხა. იმავე წელს გენათელ ეპისკოპოსად დაადგინეს მელქისედეკ საყვარელიძე, ხოლო ხონელ ეპისკოპოსად – მანოელ ჩხეტიძე: „წარვედით აფხაზეთს საკურთხევლად ივნისსა კ და მოვედით ივლისსა კ“

(ახალი ქართლის ცხოვრება, 1959:493). ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი იმერეთში ახალი საეპისკოპოსოების დაარსებას კათალიკოსის ინიციატივად თვლის, რომლის განმხორციელებელიც ბაგრატ III იყო. მეფემ „განყო ლიხთ-იმერეთი სამ საეპისკოპოზოდ ბრძანებითა აფხაზეთისა კათალიკოზისა აბაშიძისათა“ (ქრონიკები, 1897:372; ახალი ქართლის ცხოვრება, 1959:493). გელათის საეპისკოპოსოს დაარსებაზე გვაქვს აფხაზთა კათალიკოს მალაქიას საბუთიც, სადაც გელათის ეპარქიის შექმნის მოსურნედ მეფე ბაგრატია დასახელებული. იგი აღნიშნავს: „...მეფეთ-მეფემან ბაგრატ მო[გუ]ახსენა და დაგუაჯერა, რათამცა გენათი საყდრად და საეპისკოპოზოდ შეგუექმნა“ (დოლიძე, 1970:247-250; კაკაბაძე, 1921ა:10-11). ცხადია, ახალი ეპარქიების დაარსება მეფესა და კათოლიკოსს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივი სურვილით მოხდა. როგორც წესი, კათალიკოსისა თუ ეპისკოპოსის კანდიდატურას მეფე არჩევდა, ხოლო კათალიკოსი ამტკიცებდა. ამ შემთხვევაში მეფისა და კათალიკოსის ინტერესები ერთმანეთს თანხვდებოდა. მეფე ბაგრატმა ამით შეზღუდა ქუთათელის გავლენა და ახლადნაკურთხი ეპისკოპოსების სახით ერთგული მოკავშირეები შეიძინა. ბაგრატ III-ის „საეკლესიო რეფორმა მიზნად ისახავდა მსხვილი საეპისკოპოსოების დაქუცმაცებას წვრილ, პატარა საეპისკოპოსოებად, ეს უკანასკნელნი უფრო ადვილი დასამორჩილებელნი იქნებოდნენ, ვიდრე ერთიანი, ძლიერი საეპისკოპოსოები“ (რეხვიაშვილი, 1976:52). წვრილი საეპისკოპოსოების ჩამოყალიბება კათალიკოსის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ამით კათალიკოსმა გააუვნებელყო ძლიერი საეკლესიო იერარქი (ქუთათელი), რომელთანაც გარკვეულ პერიოდებში დაპირისპირებაც ჰქონდა (გაბისონია, 2008:128-129).

ბაგრატმა, 1535 წელს, მურჯახეთის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, სამცხე-საათაბაგო შეიერთა. მან სამცხის შემომტკიცება სათანადო საეკლესიო პოლიტიკის გატარებითაც სცადა და საეპისკოპოსო კათედრებზე ერთგული პირები დასვა. სამცხის უპირველეს კათედრაზე – აწყურზე, თავისი ფავორიტი საგვარეულოს წარმომადგენელი მანოელ ჩხეტიძე აღასაყდრა, რომელიც მანამდე ახლადდაარსებულ ხონის კათედრას მართავდა, ხოლო 1544 წელს, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ, რაჭის მწყემსმთავარი გახდა (კაკაბაძე, 1912:5). არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატის მიერ სამცხის შეერთების შემდეგ იშხნის კათედრა გენათელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკ საყვარელიძემ დაიკავა (ჟღენტი, 2014:44-46).

ბაგრატ III-ის ცენტრალიზებული პოლიტიკის კვალს ვხედავთ მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. დადიანის და გურიელის დასამორჩილებლად მას სჭირდებოდა ბერკეტების შენარჩუნება საეკლესიო მმართველობაში. მეფის ფავორიტი საგვარეულოების წარმომადგენლები (ჩხეტიძეები, საყვარელიძეები) დაწინაურებულნი იყვნენ მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე არა მარტო იმერეთის სამეფოში, არამედ ოდიშისა და გურიის საეპისკოპოსო კათედრებზეც. მაგალითად, XVI საუკუნის 30-60-იან წლებში ჯუმათის კათედრას განაგებდა სვიმონ ჩხეიძე/ჩხეტიძე (ქართველიშვილი, 2006:32). იგი იხსენიება როსტომ გურიელის (1534-1566) წყალობის საბუთის მტკიცებით ნაწილში (ბაქრაძე, 1987:237) და შესაბამისად ამით განისაზღვრება ჯუმათის კათედრაზე მისი მოღვაწეობის მიახლოებითი დრო. მოცემულ პერიოდში ქუთათელ მღვდელმთავრადაც გვხვდება სვიმონ ჩხეტიძე (1529-XVI საუკუნის 60-იანი წწ.) (გაბისონია, 2016:35). დიდი ალბათობით ქუთათელი და ჯუმათელი სვიმონ ჩხეტიძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (ლომინაძე, 1966:206). სვიმონი იყო ქუთათელი გერმანე ჩხეტიძის ძმისშვილი. ბ. ლომინაძე ვარაუდობს, რომ ეს გერმანე ჩხეტიძე იყო ბედიელი ეპისკოპოსიც (ლომინაძე, 1966:206-207). ფაქტია, იმერეთის მეფეს ჰქონდა ძალაუფლება და გავლენა თავისთვის სასურველი კანდიდატი დაესვა ოდიშის კათედრაზე, მისი საშუალებით ეკონტროლებინა და მონაწილე ყოფილიყო სამთავროში მიმდინარე

პროცესებისა. ჩხეტიძეები ძალიან დაწინაურებულები იყვნენ სასულიერო ასპარეზზე თავად იმერეთის სამეფოშიც. XVI საუკუნიდან დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით ქუთათელის ტახტს უმეტესად ჩხეტიძეები ფლობდნენ (გაბისონია, 2016:46).

ჩხეტიძეების გვარის წარმომადგენელს ვხედავთ მოქვის საეპისკოპოსო კათედრაზეც. მოქვის სახარების (1300 წ.) გვიანდელ მინაწერებში იხსენიება ფილიპე ჩხეტიძე. მას XVI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს თ. ჟორდანია (ქრონიკები, 897:174). არ არის გამორიცხული, რომ „სამართალი კათალიკოზთა“-ში მოხსენიებული დრანდელი მიტროპოლიტი ფილიპეც (დოლიძე, 1963:393-397) სწორედ ის ყოფილიყო. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიის გარკვეულ ეპიზოდებში მოქველები ითავსებდნენ დრანდის საყდარსაც. მაგ. მოქველ-დრანდელი ელია, რომელიც ფილიპემდე განაგებდა დრანდის კათედრას (ხორავა, 2021:85).

მოქვის საყდარზე ჩხეტიძეებს ცვლიან საყვარელიძეები. ეფთჳმე საყვარელიძე მოქვს განაგებდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. შემდეგ იგი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა. მოქვის ბოლო ეპისკოპოსიც საყვარელიძეთა გვარის წარმომადგენელი ანდრია იყო. იგი 1660-1666 წწ. მოღვაწეობდა (კალანდია, 2004:134; ხორავა, 2021:107, 109).

ჩხეტიძეების და საყვარელიძეების გარდა, ოდიშის სამთავროში ვხდებით ეპისკოპოსად ხელდასხმულ სხვა იმერული საგვარეულოების წარმომადგენლებსაც: მხეიძეებს, ღოღობერიძეებს და წულუკიძეებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, იმერეთის მეფის გავლენის დამყარებასთან არ გვაქვს საქმე.

ნიკოლოზ მხეიძე XVII საუკუნის I მესამედში მართავდა ბედიის კათედრას (ხორავა, 2021:63). მოცემულ პერიოდში ოდიშის სამთავროს სათავეში ედგა ლევან II დადიანი, რომელსაც დომინანტური პოზიცია ეჭირა დასავლეთ საქართველოში. იგი მაქსიმალურად ავიწროებდა იმერეთის სამეფოს. ამდენად, გამორიცხული იყო იმერეთის მეფეს თავისი წარმომადგენელი დაესვა მოწინააღმდეგე ოდიშის სამთავროს რომელიმე ეპარქიაში. ნიკოლოზ მხეიძის ბედიის კათედრაზე დაწინაურება უნდა დავუკავშიროთ იმერეთის სამეფო ხელისუფლებასა და მხეიძეთა საგვარეულოს შორის არსებულ დაპირისპირებას. ბაგრატ III-ის (1510-1565) მმართველობისას მხეიძეთა წარმომადგენელს მეფის „უპატიობა“ დაედო და კუთვნილი მამულიდან სოფელი დაკარგა. შემდეგ მხეიძეთა უშვილოდ გადაცვლილი ერთ-ერთი წევრის ქონება სახლიკაცებს არ დაუმტკიცა გიორგი II-მ (1565-1583) და გელათს გადასცა. მათ დაკარგეს მმართველი თანამდებობები სამეფო კარზე. ბაგრატ IV-სა (1660-დან პერიოდულად 1680-მდე) და მხეიძეთა სახლის წევრებს შორისაც არ იყო კარგი ურთიერთობა. პაატა მხეიძე ღიად დაუპირისპირდა გიორგი VI-ს (1703 წლიდან პერიოდულად 1720 წლამდე) და ბეჟან დადიანს მიემხრო. მათ ოდიშის მთავართან ქორწინებითი კავშირითაც ჰქონდათ განმტკიცებული ურთიერთობა. ფირან მხეიძეს ცოლად ჰყავდა დადიანის ასული მზეხათუნი (სოსელია, 1973:19-22). ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს ნიკოლოზ მხეიძის ხილვა ბედიის საეპისკოპოსო კათედრაზე. მისი დაწინაურების მიზეზი იყო არა იმერეთის მეფის მცდელობა ოდიშში საკუთარი გავლენის დამყარებისა, არამედ პირიქით, იმერეთის მეფესთან დაპირისპირება და დადიანთან მოკავშირეობა. ამ შემთხვევაში, უკვე დადიანს ჰქონდა აღებული სრული კონტროლი თავისი სამთავროს საეკლესიო კადრების შერჩევაზე. დადიანის მხრიდან იმერეთის სამეფო კარზე დამცრობილი თავადების შეფარება და მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე დასმა პოლიტიკური და იმერეთის მეფისადმი, ერთგვარი რევანშისტული აქტი იყო. თუმცა ეს არ იყო ერთეული შემთხვევა.

ოდიშის სამთავროში საეპისკოპოსო ტახტზე გვხვდებიან იმერეთის სხვა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებიც, კერძოდ ღოღობერიძეები. ისინი ცაიშის ეპარქიას

მართავდნენ. ღოღობერიძეები იმერეთის თავადები იყვნენ და მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ოდიშის მთავართან. მათი სათავადო უშუალოდ ესაზღვრებოდა ოდიშის სამთავროს (სოსელია, 1981:31). გიორგი II-ის მეფობისას (1565-1587) სერიოზული კონფლიქტი იყო ცენტრალურ ხელისუფლებასა და ღოღობერიძეთა საგვარეულოს შორის და ამ კონფლიქტის მიზეზი, დადიანთან მოკავშირეობა იყო. ფაქტია, რომ 1587 წ. მეფემ ხონში, რომელიც ღოღობერიძეთა მამული იყო, ვინმე ხოსროს ჩამოართვა სასახლე და გადასცა დავით წულუკიძეს. იმდენად მტკიცე იყო დადიან-ღოღობერიძეთა კავშირი, რომ ო. სოსელია იმერეთის მეფე გიორგი II-ის წინააღმდეგ შეკრულ მათ ალიანსს და შემდეგ მარცხს უკავშირებს ერთხანს ღოღობერიძეების პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობას (სოსელია, 1981:35-36). XVII საუკუნის II ნახევრიდან მათ სამეფო ხელისუფლებასთან ურთიერთობა მოაგვარეს, თუმცა ოდიშის მთავართან ურთიერთობაზე უარი არ უთქვამთ და დინასტიური ქორწინებებითაც ჰქონდათ კავშირი გამყარებული. ოდიშის მთავარმა ვამეყ დადიანმა ჩაშალა ვახტანგ V-თან დამოყვრების მცდელობა (ვახტანგის ვაჟი არჩილი დაწინდული იყო ვამეყის ასულზე) და თავისი ქალიშვილი ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა (სოსელია, 1981:35-36). ვამეყისთვის ღოღბერიძეებთან კავშირი მნიშვნელოვანი იყო ქვემო იმერეთის შემომტკიცების თვალსაზრისით, თუმცა ვახტანგ V-ც მიუხვდა ჩანაფიქრს და ბეჟანი მოაკვლევინა (სოსელია, 1981:38). ფაქტია, ღოღობერიძეები დაახლოებულნი იყვნენ ოდიშის სამთავრო კართან. მათ კავშირს დადიანებთან იმერეთის მეფის ოპოზიციონერობა ედო საფუძვლად. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ღოღბერიძეებს ოდიშის ეპარქიებში ვხედავთ მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე. მაგ.: სვიმონ ღოღაბერისძეს XVIII საუკუნის დასაწყისში ცაიშის საეპისკოპოსო ტახტი ჰქონდა დაკავებული. იმავე ცაიშის საყდარს ფლობდა სოფრონ ღოღაბერიძე 1766-1771 წწ. (კალანდია, 2004:51). ევდემოზ ღოღობერიძე იყო ჭყონდიდის მიტროპოლიტი 1714-1727 წწ. (კაკაბაძე, 1921ა:113; ტუღუში, 1988:229-230). ალექსანდრე V-ის მეფობის ბოლო წლებში და სოლომონ I-ის მმართველობისას ღოღობერიძეთა გვარის წარმომადგენელი სილიბისტრო ღოღობერიძე იმერეთის სამეფოში დაწინაურდა. ის იყო ხელმწიფის კარის მღვდელი, მოწამეთას მონასტრის წინამძღვარი. მოგვიანებით, კაცია II დადიანმა იგი დაადგინა საირმის (ლეჩხუმი) უდაბნოს წინამძღვრად (სოსელია, 1981:39-40). 1771-1780-იან წწ. იყო ნიკორწმინდის ეპისკოპოსი და ამ ხარისხში აღესრულა (გაფრინდაშვილი, 2015:245-246). ნიშანდობლივია, რომ სილიბისტროს თანაბრად შეეძლო ემოღვაწა იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს ეკლესიებში, რაც განპირობებული იყო მეფე სოლომონის ცენტრალიზებული პოლიტიკით, როდესაც იმერეთის მეფის გავლენაში მოექცნენ დასავლეთ საქართველოს მთავრები.

ოდიშის სამთავროში კიდევ ერთი იმერული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელს ვხედავთ მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე. ეს გახლავთ ნიკოლოზ წულუკიძე. იგი ხობის ეპისკოპოსია. წულუკიძეები ერთობ გავლენიანი თავადები იყვნენ იმერეთში. მეფე გიორგი III-თან (1604-1639) კონფლიქტის გამო პაატა წულუკიძე მამულების ჩამორთმევით დაისაჯა და სამეგრელოში გადაიხვეწა. პაატა ლევან II დადიანის ვეზირი გახდა. მან მიიღო ყმა-მამული ხობში და ხორგას ნაპარკაოს სასახლე. ვახუშტი ბატონიშვილისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით, პაატას წაქეზებით გაამწვავა ბრძოლა ლევან II-მ იმერეთის მეფესთან (ეგნატაშვილი, 1959:429; ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:826). ნიკოლოზ წულუკიძე ამ ამბებთან შედარებით უფრო ადრე გვხვდება ხობელ მღვდელმთავრად, დაახლოებით 1569 წ. ახლო პერიოდში, თუმცა ეს თარიღიც სათუოა. ფაქტია, რომ მათ ყმა-მამული მიიღეს ხობში და მათი საგვარეულოს წარმომადგენელიც ხობის ეპისკოპოსი გახდა. ალექსანდრე III-ის (1639-1660) გარდაცვალების შემდეგ იმერეთში საშინელი ანარქია დაიწყო, რითაც ისარგებლეს

წულუკიძეებმა და XVII საუკუნის 60-70-იან წწ. დაიბრუნეს მეფის მიერ ჩამორთმეული ყმა-მამული. მართალია, ბაგრატ IV-მ (1660-1681) შეირიგა მერაბ წულუკიძე, მაგრამ სამეფო ხელისუფლებასთან ურთიერთობა მაინც არ გამოსწორებულა. ისინი რაჭის ერისთავის მხარეს იკავებდნენ და მეფეს კვლავ ოპოზიციაში ედგნენ. რაჭის გაძლიერებულმა ერისთავებმა, როდესაც წულუკიძეების შევიწროება დაიწყეს, მათ ისევ მეფის მფარველობა აირჩიეს და XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან უკვე ცენტრალურ ხელისუფლებას ერთგულობდნენ. წულუკიძეები, განსაკუთრებით დაიახლოვა სოლომონ I-მა (სოსელია, 1981:53-55). მას რაჭის ერისთავის წინააღმდეგ სჭირდებოდა მოკავშირეები. ამის შემდეგ წულუკიძეები მაღალ თანამდებობებს იღებენ იმერეთის სამეფო კარზე. ისინი წინაურდებიან საეკლესიო ასპარეზზეც და იღებენ ნიკორწმინდის კათედრას. სვიმონ წულუკიძე XVII ს.-ის 80-იან წლებიდან XVIII საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით განაგებდა ნიკორწმინდის საყდარს (გაფრინდაშვილი, 2015:239-240). XVIII ს-ის 50-იან წლებიდან ნიკორწმინდის საყდარზე გერმანე წულუკიძე ზის. იგი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც იყო. როსტომ რაჭის ერისთავთან ახლობლობის გამო მეფე სოლომონ I-მა გადააყენა ეპისკოპოსობიდან და ტახტი სილიბისტრო ღოღობერიძეს უბოძა. გერმანეს ისევ ვხედავთ ნიკორწმინდლად XVIII ს-ის 80-იან წწ. 1793 წლამდე, შემდეგ კი სოფრონ წულუკიძეს 1793-1821 წწ. (გაფრინდაშვილი, 2015:243-253).

საგულისხმოა, რომ მეფესთან დაპირისპირებული იმერელი ფეოდალები, რომლებიც დადიანთან მოკავშირეობას ირჩევდნენ, ოდიშში მხოლოდ საეკლესიო თანამდებობებს იღებდნენ. იმერელი თავადი თუკი ოდიშს შეაფარებდა თავს და ყმა-მამულსაც ოდიშის სამთავროში მიიღებდა ანუ მეგრელი წარჩინებული გახდებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო სამოხელეო თანამდებობა დაეკავებინა, როგორც წულუკიძეების შემთხვევაში მოხდა.

სოლომონ I-ის მმართველობისას რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. სოლომონმა ტახტი 1752 წელს დაიკავა და ორი მთავარი მიზანი დაისახა: 1. ფეოდალური ანარქიის ალაგმვა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, 2. ქვეყნიდან ოსმალების განდევნა.

მეფისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიაში მტკიცე საყრდენის გაჩენას. მას ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა. ეკლესია კი მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. იმერეთის საეპისკოპოსოები და მონასტრების ნაწილი გაუქმებული იყო, მათი ყმა-მამული კი საერო პირების ხელში გადასული.

სოლომონის ინიციატივით 1759 წელს მოიწვიეს საეკლესიო და საერო ფეოდალების კრება. შესაბამისად, კრების მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილებები ეხებოდა საეკლესიო და სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას. კრებას ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავრები და უმაღლესი არისტოკრატია. კრებამ დაადგინა, რომ აღდგებოდა ქუთაისის კათედრა. აირჩევდნენ ქუთათელ ეპისკოპოსს. საყდარს დაუბრუნდებოდა მიტაცებული ყმა-მამული. სოლომონისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით საეპისკოპოსო კათედრების გამართულ ფუნქციონირებას. ამაზე მეტყველებს კრების დადგენილების დოკუმენტი, სადაც დამამტკიცებელთა შორის ჯუმათელი მღვდელმთავრის გასწვრივ ხელმოუწერლად არის დატოვებული, ხოლო ზევით კი ტექსტის ხელით არის მიწერილი: „არ იჯდა, არ მოიშალოს“ (კაკაბაძე, 1913:4). ასევე დაადგინეს საკათალიკოსო ყმა-მამულების შეუვალობის საკითხი მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით.

კრებაზე მხოლოდ საეკლესიო საკითხებზე არ ყოფილა მსჯელობა. კრებამ აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, რისი პირობაც დადეს იმერეთის თავად-აზნაურებმა, ოდიშისა და გურიის

მთავრებმა თავის წარჩინებულებთან ერთად. ფაქტია, რომ 1759 წლის კრებაზე „სოლომონ მეფე მთელი ლიხთიმერეთის საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა და მთავრები (დადიან-გურიელი) და თავადები მისი „მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელნი“ იყვნენ“ (ბერძენიშვილი, 1973:416). ეკლესია დასავლეთ საქართველოში მეფის პოლიტიკის გამტარებელი გახდა.

1761 წელს კიდევ მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომლის ძალითაც აღდგა ხონის საეპისკოპოსო კათედრა, მასაც დაუბრუნდა მიტაცებული ყმა-მამული, მიენიჭა შეუვალობა. მიუხედავად იმისა, რომ 1761 წლის კრება აწესრიგებდა იმერეთის სამეფოს ეპარქიების საკითხს მას ესწრებოდნენ ოდიშისა და გურიის სამთავროს ეპისკოპოსები. გარდა საეკლესიო კრებებისა, ეკლესიისადმი გაცემულ მეფის ბრძანებებს ახლავს გურიისა და ოდიშის მღვდელმთავრების მტკიცებულება. მაგ. 1760 წლის მეფის საბუთს ბაგრატის ტაძრისადმი ახლავს ცხრა ბეჭედი სამეფო ოჯახის წევრების, კათალიკოსის, იმერეთის საერო და საეკლესიო იერარქების, ასევე ჭყონდიდელი, ცაგერელისა და შემოქმედელი ეპისკოპოსების (ტყეშელაშვილი, 2016:106). მეფე ლოკალურად არ წყვეტდა იმერეთის ეკლესიის პრობლემებს. იმერეთის ეკლესიის საქმეებს აგვარებდა ოდიშისა და გურიის მღვდელმთავრების ჩართულობით, რითაც დასავლეთ საქართველოს ერთობის საფუძველს ქმნიდა.

1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გურიის სამთავრო ძალიან დაზარალდა. გაუქმდა საეპისკოპოსო კათედრები. საეკლესიო ყმა-მამული საერო პირებმა დაისაკუთრეს. ამ საკითხების მოსაგვარებლად 1777 წელს გურიის სამთავროს ეწვია კათალიკოსი მაქსიმე სასულიერო კრებულთან ერთად (კაკაბაძე, 1921ბ:62). მან გურიის მთავარ გიორგი V-ს მოსთხოვა მოეწესრიგებინა საეკლესიო საქმეები. აღდგა შემოქმედისა და ჯუმათის კათედრები (ხინოწმინდა ოსმალებმა მიიტაცეს). სამღვდელმთავრო კანდიდატები მაქსიმე კათალიკოსმა შეარჩია: „პირველად ეპისკოპოსების საქმეს დაგველაპარაკეთ და ვითა თქვენ გენებათ, ეპისკოპოსები ეგრეთ დავადგინეთ“ (კაკაბაძე, 1921ბ:59). შემოქმედელ ეპისკოპოსად აკურთხეს იოსებ თაყაიშვილი, ხოლო ჯუმათელად – სვიმონ აბაშიძე. ცხადია, სვიმონ აბაშიძე მეფე სოლომონის კადრი იყო. იგი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ და იმერეთის ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი. აქვე აღსანიშნავია, რომ გურიელთა სახლის ვაჟი, ბატონიშვილი ქაიხოსრო (გიორგი V-ის ძე) გელათში სამღვდელოდ იზრდებოდა და შემოქმედის კათედრის დასაკავებლად ამზადებდნენ (ჩხატარაიშვილი, 1964:141). რა თქმა უნდა, ქაიხოსროს გელათში წაყვანა და აღზრდა იმერეთის მეფის გურიისადმი ინტერესებით იყო განპირობებული და მისი გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. საეპისკოპოსო კათედრები მხოლოდ გურიის სამთავროში არ გაუქმებულა. ასეთივე ვითარება იყო შექმნილი ოდიშის სამთავროშიც, დაქვრივებული იყო ცაიშის კათედრა. ოდიშის მთავარი და მეფე კი დაპირისპირებულნი იყვნენ ერთმანეთთან: „ავთა კაცთა მოქმედებისაგან სიყვარულისა წილ შეექმნათ შური დიდი ურთერთთა შორის. და არბევდა მეფე ოდიშს მრავალჯერ და ეკირთებოდა, გარნა არცა დადიანი აყენებდა და მრავალჯერ ესეცა არბევდა იმერეთ-რაჭასა“ (დადიანი, 1962:179). ასეთ ვითარებაში ცენტრალიზაციის მოსურნე სოლომონისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოდიშის სამთავროზე გავლენის მოპოვებას. 1777 წ. მეფემ საეპისკოპოსოების აღდგენის მასშტაბური გეგმა განახორციელა. მაქსიმე კათალიკოსი გურიის სამთავროს გარდა, ოდიშსაც ეწვია. კაცია დადიანმა მაქსიმე კათალიკოსთან შეთანხმებით ცაიშის ეპისკოპოსად დაადგინა გრიგოლ ჩიქოვანი (კალანდია, 2004:48-49). ამის შესახებ თავად გრიგოლ ჩიქოვანიც აღნიშნავს ცაიშის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში: „კვალად განაახლა საეპარქიოდ, რომელსა ზედა დაადგინა უღირსება ჩემი წელს ჩღოზ“ (თაყაიშვილი, 2017:161). გრიგოლ ცაიშელი ერთ-ერთ საბუთში მიუთითებს, რომ „ბატონმა დადიანმა კაციამ და

მღვდელმთავრებმან ჩემი ცაიშლობა ინებეს“ (დოლიძე, 1970:1050). აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის დედანში ტექსტი შემდეგნაირადაა მოცემული: „ბატონმა დადიანმა კაციამ და კათ მღდელმთავრებმან ჩემი ცაიშლობა ინებეს და ცაიშლობა მომცეს“ (წყალობის წიგნი..., Hd-10549). დედანში „კათ“ გადაშლილია. ცხადია, საბუთის დამწერს კათალიკოსი ჰყავდა მხედველობაში, თუმცა პოლიტიკური ამბიციების გამო მისი დაფიქსირება დოკუმენტში არ მოინდომეს და წაშალეს. ეს უნებლიე „შეცდომა“ კარგად აჩვენებს დადიანის და ოდიშის იერარქიის დამოკიდებულებას კათალიკოსისა და მის უკან მდგომი იმერეთის მეფისადმი, მათგან გამიჯვნის მისწრაფებას და ასევე ეპისკოპოსად არჩევის პროცედურულ სახეს: მთავრის სურვილით, ადგილობრივ მღვდელმთავრებთან შეთანხმებით. ცხადია, გრიგოლ ცაიშელი დადიანის სასურველი კანდიდატი იყო. მეფე სოლომონმა თუკი მოახერხა ჯუმათელ ეპისკოპოსად დაესვა სვიმონ აბაშიძე, ოდიშის სამთავროში თავისი პოზიციები არ დათმო მთავარმა და მღვდელმთავრად თავისი საგვარეულოს წარმომადგენელი დაადგინა, რაც კაციასა და მეფეს შორის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე არც არის გასაკვირი.

სოლომონ მეფის საეკლესიო პოლიტიკის არსს თავად მეფის სიტყვები ახასიათებს: „ოდეს... ვსძლიეთ უშჯულოთა მაჰმადიანთა უსამართლოდ აღდგომილთა ქ(რისტ)ეს მოსახელეთა ერთა ზ(ედ)ა .... შ(ემდგომა)დ ამისსა ვიწყე მოსწრაფებით მოძიებად გლეხთა და აგარაკთა წმიდათა ეკკლესიათა და ტრფიალ ვიყავ, რ(ათ)ა სამეფოსა ჩემისა ეკკლესიანი ყოველნი თავისუფალ მექმნეს და ძალმწეობითა წმიდათა ეკკლესიათა მივემთხვე საწადელსა ჩემსა მოკლეთა ჟამთა“ (კაკაბაძე, 1921ბ:74). მაშასადამე, სოლომონი ცდილობდა აღედგინა საუკუნოვანი წესრიგი და კუთვნილი ყმა-მამულის ეკლესიისთვის დაბრუნების გზით გაეძლიერებინა სამეფო ხელისუფლების ერთგული მოკავშირე. ეკლესიის მხარდაჭერით მეფე პოზიციებს იმაგრებდა ქვეყნის შიგნით და საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიურ საფუძველს ქმნიდა

დასკვნები. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის სიმტკიცე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საეკლესიო პროცესებზე. ქვეყანაში ორი საკათალიკოსოს არსებობამ – აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) და დასავლეთ საქართველოს (ბიჭვინთის), ხელი შეუწყო მათ შორის უმტკივნეულო გამიჯვნას.

დასავლეთ საქართველო თავად დაიშალა სამეფო-სამთავროებად და აფხაზეთის საკათალიკოსო იყო ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც მას აერთიანებდა. ამდენად დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური პრიმატის მოპოვების მსურველი პირი, ეკლესიის საშუალებით ახერხებდა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამეფო-სამთავროების კონტროლს. როგორც წესი, დასავლეთ საქართველოში პოლიტიკურ უპირატესობას ფლობდა იმერეთის მეფე და ზოგ შემთხვევაში ოდიშის მთავარი. ყოველი მათგანი ცდილობდა, რომ აფხაზთა კათალიკოსად თავისთვის სასურველი კანდიდატი დაესვათ. როდესაც იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის უპირატესობის დათმობა არცერთს სურდა, ამ შემთხვევაში ორივე მათგანი სვამდა თავისთვის სასურველ კათალიკოსს, რაც „ორკათალიკოსობას“ იწვევდა.

გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში, ეკლესიის ადმინისტრირების საკითხი სახელმწიფო იერარქების ხელში იყო და ახალი ეპარქიების დაარსებას პოლიტიკური ინტერესები ედო საფუძვლად. ახალი საეპისკოპოსოები დაარსდა ჯერ გურიის სამთავროში და შემდეგ იმერეთის სამეფოში. გურიელებისთვის საეპისკოპოსოების დაარსება იყო იმერეთის სამეფოსგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარანტი. იმერეთის სამეფოში კი ბაგრატ III-ის მიერ ეპარქიების

დაარსება მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ისახავდა მიზნად ქუთათელის ეპარქიის დანაწევრების ხარჯზე.

საეკლესიო ადმინისტრირებასთან ერთად ეპისკოპოსებად არჩევაც საერო ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენდა. მეფეები თუ მთავრები პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არჩევდნენ თავისთვის სასურველ სამღვდელმთავრო კანდიდატს.

იმერეთის მეფის ხელისუფლება როდესაც ძლიერდებოდა, ოდიშისა და გურიის სამთავოს კათედრებზე ჩნდებოდნენ იმერეთის ფეოდალური საგვარეულოს წარმოამდგენელი ეპისკოპოსები. განსაკუთრებით, ბაგრატ III-ის მმართველობისას, როდესაც მეფის პოლიტიკა მიმართული იყო დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისკენ და ცხადია, თავისი კანდიდატების დასმით მეფე ცდილობდა აღნიშნულ რეგიონებში გავლენების შენარჩუნებას. მომდევნო პერიოდში ოდიშის სამთავროში იმერეთის თავადთა მიერ კათედრების დაკავებას უკვე სხვა სარჩული ედო საფუძვლად და განპირობებული იყო მეფესთან დაპირისპირებული საგვარეულოების მხარდაჭერით. იმერეთის მეფისადმი ოპოზიციურად განწყობილი სათავადოს წარმომადგენლები: ღოღობერიძეები, წულუკიძეები, მხეიძეები და ა.შ. ოდიშის სამთავროში იღებდნენ მაღალ საეკლესიო თანამდებობებს და ზოგჯერ მამულებსაც.

დასავლეთ საქართველოში ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებას სულ ორი მეფე შეეცადა: ბაგრატ III და სოლომონ I. მეფე სოლომონმა უკვე ვეღარ შეძლო ოდიშის კათედრებზე თავისი კანდიდატების დასმა, რაც მეტ-ნაკლებად მოახერხა გურიის სამთავროში და სამთავროს ნაწილი დაიქვემდებარა კიდეც. ფაქტია, მეფე ეკლესიის საშუალებით ცდილობდა ეკონტროლებინა დამოუკიდებელ სამთავროთა საშინაო პოლიტიკა. სოლომონი ერთიანობის საფუძველს მხოლოდ გურიისა და ოდიშის საეკლესიო საქმეებში ჩარევით არ ქმნიდა. იგი იმერეთის საეკლესიო საქმეებში რთავდა ოდიშისა და გურიის სამღვდელოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

არახამია, გ. (2002). ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის საკითხისათვის. *საისტორიო ძიებანი*, (5), 109.

ბერი ეგნატაშვილი. (1959). ახალი ქართლის ცხოვრება (პირველი ტექსტი). ს. ყაუხჩიშვილი (გამომც.), *ქართლის ცხოვრება* (ტ. 2). საბჭოთა საქართველო.

ბერძენიშვილი, ნ. (1973). *საქართველოს ისტორიის საკითხები* (ტ. 6). მეცნიერება.

გაფრინდაშვილი, ბ. (2015). *რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა).* თბილისი.

დადიანი, ნ. (1962). *ქართველთ ცხოვრება* (შ. ბურჯანაძის გამოც.). თბილისი.

დოლიძე, ი. (გამომც.). (1963). *ქართული სამართლის ძეგლები: ტომი I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული.* საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა.

დოლიძე, ი. (გამომც.). (1970). *ქართული სამართლის ძეგლები: ტომი III.* მეცნიერება.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილი (გამომც.), *ქართლის ცხოვრება* (ტ. 4). საბჭოთა საქართველო.

ზაქარაია, ჰ. (1956). *ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი.* ხელოვნება.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე.* ტფილისი.

თაყაიშვილი, ე. (2017). არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. *თხზულებანი* (ტ. 4). არტანუჯი.

კაკაბაძე, ს. (1913). *საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს.* ტფილისი.

კაკაბაძე, ს. (1921ა). *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები* (ტ. 1). ტფილისი.

კაკაბაძე, ს. (1921ბ). *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები* (ტ. 2). ტფილისი.

კალანდია, გ. (2004). *ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი).* არტანუჯი.

ლამბერტი, ა. (1938). *სამეგრელოს აღწერა* (ალ. ჭყონიას თარგმანი, მე-2 გამოც.). ფედერაცია.

ლიჩინი, პ. ა. (2009). *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში* (მ. პაპაშვილის თარგმანი და შენიშვნები). თბილისი.

ლომინაძე, ბ. (1966). *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები* (ტ. I). მეცნიერება.

პაპაშვილი, მ. (2023). კრისტოფორო კასტელისა და კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი. *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული*, (22), 47.

რეხვიაშვილი, მ. (1976). *იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში (პოლიტიკური ისტორია).* თსუ გამომცემლობა.

სოსელია, ო. (1973). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)* (ტ. 1). მეცნიერება.

სოსელია, ო. (1981). *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)* (ტ. 2). მეცნიერება.

ტუღუში, ა. (1988). ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის გარკვევისათვის (მე-17-18 სს.). კრებულში *ეგრისი* (№1).

ტყეშელაშვილი, ლ. (2016). *იმერეთის მეფე სოლომონ I – დიდი.* ქუთაისი.

ქართველიშვილი, თ. (2006). *გურიის საეპისკოპოსოები,* არტანუჯი.

ქართველიშვილი, თ. (2020). *იმერთა მეფის ბაგრატ III-ის საეკლესიო ადმინისტრაციული პოლიტიკა, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომებში,* XIX-XX, თბილისი

ქრონიკები. (1897). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა* (ტ. 2). ტფილისი.

ჩხატარაიშვილი, ქ. (1964). გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან (XVIII ს. 70-80-იანი წლები). *საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ-ის „მაცნე“*, (4), 141.

წყალობის წიგნი გრიგოლ ცაიშელისა ბოშიხუხუ მეუნარგიასადმი. (XVIII ს.). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-10549.

ხორავა, ბ. (2021). *ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით.* საარი.

ჯოჯუა, თ. (2002). XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათოლიკოსი ბართლომე (დაახლ. 1488-1519 წწ.). *საქართველოს სიძველენი*, (I), 117-132.

Полиевктов, М. (Ред.). (1937). *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640.* Издательство ТГУ.

REFERENCES

Arakhamia, G. (2002). Odishis eristavta kronologiis sakithisatvis [On the Issue of the Chronology of the Eristavs of Odishi]. *Saistorio Dziebani*, (5), 109.

Beri Egnatashvili. (1959). Akhali Kartlis Tskhovreba (pirveli teqstshi) [The New Life of Kartli (The First Text)]. In S. Qaukhchishvili (Ed.), *Kartlis Tskhovreba (Vol. 2)*. Sabchota Sakartvelo.

Berdzenishvili, N. (1973). *Sakartvelos istoriis sakitkhebi (Vol. 6)* [Issues of the History of Georgia (Vol. 6)]. Metsniereba.

Chkhataraishvili, K. (1964). Guriis samtavros politikuri istoriidan (XVIII s. 70-80-iani tslebi) [From the Political History of the Principality of Guria (the 70-80s of the 18th Century)]. *Sak. SSR Metsn. Akad. Sazogad. Metsn. Gany-is "Matsne"*, (4), 141.

Dadiani, N. (1962). *Kartvelta Tskhovreba* [Life of the Georgians] (Sh. Burjanadze, Ed.). Tbilisi.

Dolidze, I. (Ed.). (1963). *Kartuli samartlis dzeglebi: Tomi I. Vakhtang VI-is samartlis tsignta krebuli* [Monuments of Georgian Law: Volume I. Collection of Law Books of Vakhtang VI]. Sak. SSR Metsn. Akad. Gamomtsemloba.

Dolidze, I. (Ed.). (1970). *Kartuli samartlis dzeglebi: Tomi III* [Monuments of Georgian Law: Volume III]. Metsniereba.

Gaprindashvili, B. (2015). *Racha-Imeretis saepiskoposoebi (Gelati, Khoni, Nikortsminda)* [Bishoprics of Racha-Imereti (Gelati, Khoni, Nikortsminda)]. Tbilisi.

Jojua, T. (2002). XII saukunis garejuli krebulis (Ven.4-is) erti minatserebi da Apkhazetis utsnobi katolikosi Bartlome (daakhli. 1488-1519 tsf.) [An Inscription of the 12th-Century Gareji Collection (Ven.4) and the Unknown Catholicos of Abkhazia Bartholomew (ca. 1488-1519)]. *Sakartvelos Sidveleni*, (I), 117-132.

Kakabadze, S. (1913). *Saeklesio repormebisatvis Solomon pirvelis dros* [For Church Reforms During the Reign of Solomon I]. Tpilisi.

Kakabadze, S. (1921a). *Dasavlet Sakartvelos saeklesio sabutebi (Vol. 1)* [Church Documents of Western Georgia (Vol. 1)]. Tpilisi.

Kakabadze, S. (1921b). *Dasavlet Sakartvelos saeklesio sabutebi (Vol. 2)* [Church Documents of Western Georgia (Vol. 2)]. Tpilisi.

Kalandia, G. (2004). *Odishis saepiskoposoebi (Tsaishi, Bedia, Mokvi, Khobi)* [Bishoprics of Odishi (Tsaishi, Bedia, Mokvi, Khobi)]. Artanuji.

Kartvelishvili, T. (2006). *Guriis saepiskoposoebi* [The Bishoprics of Guria]. Artanuji.

Kartvelishvili, T. (2020). Imerta mepis Bagrat III-is saeklesio administratsiuli politika [Church-Administrative Policy of the King of Imereti Bagrat III]. *Tskhum-Apkhazetis Metsnierebata Akademiis Shromebi*, XIX-XX, Tbilisi.

Khorava, B. (2021). *Kveqana savse qristes sarmunoebit* [A Country Full of Christ's Faith]. Saari.

Kronikebi. (1897). *Kronikebi da skhva masala Sakartvelos istoriisa da mtserlobisa (Vol. 2)* [Chronicles and Other Material of the History and Literature of Georgia (Vol. 2)]. Tpilisi.

Lamberti, A. (1938). *Samegrelos agwera* [Description of Samegrelo] (Al. Chqonia, Trans., 2nd ed.). Pederatsia.

Lichini, P. A. (2009). *Kristoforo Kasteli da misi misia Sakartveloshi* [Cristoforo Castelli and His Mission in Georgia] (M. Papashvili, Trans.). Tbilisi.

Lominadze, B. (1966). *Kartuli peodaluri urtiertobis istoriidan. Senioriebi (Vol. I)* [From the History of Georgian Feudal Relations. Seniorities (Vol. I)]. Metsniereba.

Papashvili, M. (2023). Kristoforo Kastelisa da Katolikos-Patriarq Maqsime I-is erti sagvtismetqvelo dialogis analizi [Analysis of a Theological Dialogue Between Cristoforo Castelli and Catholicos-Patriarch Maxime I]. *Goris Sakhelmtsipo Universitetis Humanitarul Metsnierebata Fakultetis Istoriisa da Arqeologiis Tsentris Shromata Krebuli*, (22), 47.

Polievktov, M. (Ed.). (1937). *Materialy po istorii gruzino-russkikh vzaimootnosheniy 1615-1640* [Materials on the History of Georgian-Russian Relations 1615-1640]. Publishing House of TSU.

Rekhviashvili, M. (1976). *Imeretis samepo XVI saukuneshi (politikuri istoria)* [The Kingdom of Imereti in the XVI Century (Political History)]. TSU Publishing House.

Soselia, O. (1973). *Narkvevebi peodaluri khanis dasavlet Sakartvelos sotsialur-politikuri istoriidan (Satavadoebi) (Vol. 1)* [Essays on the Social-Political History of Western Georgia in the Feudal Era (Principalities) (Vol. 1)]. Metsniereba.

Soselia, O. (1981). *Narkvevebi peodaluri khanis dasavlet Sakartvelos sotsialur-politikuri istoriidan (Satavadoebi) (Vol. 2)* [Essays on the Social-Political History of Western Georgia in the Feudal Era (Principalities) (Vol. 2)]. Metsniereba.

Tamarashvili, M. (1902). *Istoria katolikobisa qartvelta shoris, namdvilis sabutebis shemotanita da ganmartebit, XIII saukunidgan vidre XX saukunemde* [History of Catholicism Among Georgians, with the Introduction and Explanation of Real Documents, from the XIII Century to the XX Century]. Tpilisi.

Takaishvili, E. (2017). Arkheologiuri mogzaurobidan Samegreloshi. *Thkhzulebani (Vol. 4)* [Archaeological Journey to Samegrelo. Works (Vol. 4)]. Artanuji.

Tkeshelashvili, L. (2016). *Imeretis mepe Solomon I – Didi* [King of Imereti Solomon I – The Great]. Kutaisi.

Tughushi, A. (1988). Chqondidel episkoposta kronologiis garkvevisatvis (me-17-18 ss.) [For Clarifying the Chronology of the Bishops of Chqondidi (17th-18th Centuries)]. In *Krebulshi Egrisi (No. 1, pp. 229-230)*.

Tskhalobis tsigni Grigol Tsaishelisa Boshikhukhu Meunargiasadmi [The Charter of Donation given by Grigol of Tsaishi to Boshikhukhu Meunargia]. (XVIII c.). National Centre of Manuscripts, Hd-10549.

Vakhushti Batonishvili. (1973). Agwera sameposa Sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. In S. Qaukhchishvili (Ed.), *Kartlis Tskhovreba (Vol. 4)*. Sabchota Sakartvelo.